დამტკიცებულია შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 2022 წლის 1 აპრილის N2/49 ბრძანებით
ცვლილებები შესულია რექტორის 2022 წლის 07 ნოემბრის N2/193 ბრძანებით
ცვლილებები შესულია რექტორის 2023 წლის 19 ოქტომბრის N2/171 ბრძანებით
ცვლილებები შესულია 2024 წლის 01 აპრილის N2/39 ბრძანებით
ცვლილებები შესულია 2025 წლის 03 აპრილის N2/24 ბრძანებით
ცვლილებები შესულია 2026 წლის 3აპრილის №2/36 ბრძანებით

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია

სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი(2022-29 წწ) გეგმა

2026წ

ზოგადი ინფორმაცია

- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია წარმოადგენს ავტორიზებულ პროფესიულ საგანმანათლებლო აკადემიას, რომელიც დაფუძნებულია 34-წლიანი საგანმანათლებლო გამოცდილების საფუძველზე. აკადემია მიზნად ისახავს შრომის ბაზრის საჭიროებებზე მორგებული კადრების მომზადებას და ხარისხიანი პროფესიული განათლების ხელშეწყობას.
- აკადემია ახორციელებს მრავალპროფილურ პროფესიულ და მოკლევადიან სასერტიფიკატო პროგრამებს, მათ შორის დუალური სწავლების მოდელს. სწავლება მიმდინარეობს თანამედროვე ინფრასტრუქტურაში, თბილისის და საჩხერის კამპუსებში. აკადემია აქტიურად თანამშრომლობს კერძო და საჯარო სექტორის წარმომადგენლებთან, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკულ მომზადებასა და დასაქმებას.
- BTA აღიარებულია საერთაშორისო ხარისხის სტანდარტით (ISO 9001:2015, თბილისი მის. წერონისის ქ.208) და არის პროფესიული განათლების სფეროში ერთ-ერთი ლიდერი ორგანიზაცია, რომელიც მხარს უჭერს ინოვაციურ და ინკლუზიურ სწავლების მოდელს; აკადემიაში ხარისხის მართვის სისტემის პროცესების მართვა ხორციელდება ISO 9001:2015 -ის მოთხოვნებისა და შიდა ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად და მისი შენარჩუნება ხდება ხარისხის მენეჯმენტის სისტემის შიდა -გარე აუდიტის ჩატარებითა და არსებული მდგომარეობის გაანალიზებით.
- პროგრამების შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან და საუკეთესო ადგილობრივ პრაქტიკას. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს: მონაცემების შეგროვება, მონაცემების დამუშავება და მიღებული ინფორმაციის, გამოკითხვისა და შეფასების შედეგების ანალიზი, გასაუმჯობესებელი მხარეების გამოყოფა, რეკომენდაციების შემუშავება და ცვლილებების დაგეგმვა - საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით, შესაბამისი ცვლილებების განხორციელება.
- სწავლების პროცესი მიმდინარეობს თანამედროვე სტანდარტების ინფრასტრუქტურაში — თბილისის სამ და საჩხერის ფილიალებში. თითოეული ლოკაცია აღჭურვილია თანამედროვე აუდიტორიებითა და პრაქტიკული სწავლების ლაბორატორიებით;
- 2023 წელს ქ. საჩხერეში, ივანე გომართელის N50ა/52-ში, ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიამ ააშენა საგანმათლებლო ჰაბი, რომლის ფართობი 2900 მ²-ს შეადგენს. შენობა აღჭურვილია თანამედროვე ინფრასტრუქტურით, ტექნიკითა და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო ყველა რესურსით. სასწავლო კომპლექსთან ერთად აშენდა პროფესიულ სტუდენტთა საერთო საცხოვრებელიც, რაც მნიშვნელოვნად ზრდის დასავლეთ საქართველოს მოსახლეობისათვის განათლების მიღებისა და დასაქმების შესაძლებლობას. საგანმანათლებლო სივრცის გაფართოების საფუძველი გახდა პროფესიულ სტუდენტებსა და აკადემიის პერსონალისთვის ახალი და თანამედროვე სასწავლო-სამუშაო პირობების უზრუნველყოფის მიზანი.
- აკადემია აქტიურად მონაწილეობს როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო, პროექტებში, მათ შორის – ათასწლეულის გამოწვევის ფონდის კონკურსებში, პროფესიული უნარების სააგენტოს არაფორმალურ სტუდენტურ პროექტებში, ასევე საერთაშორისო საგრანტო პროექტებში, USAID-ისა და სხვა პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერით;
- აკადემიის ადმინისტრაცია მჭიდროდ თანამშრომლობს როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო სტრუქტურებთან, მათ შორის – საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტთან. გარდა ამისა, აკადემია სისტემატურად და მაღალი პასუხისმგებლობით ერთვება სსიპ განათლების სამინისტროს განვითარების ეროვნული ცენტრის, პროფესიული უნარების სააგენტოს, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოსა და სხვა უწყებების ინიციატივებში, პროექტებში, კონფერენციებსა და პროფესიულ აქტივობებში.
- აკადემიაში დანერგილია სასწავლო პროცესის მართვის ციფრული პლატფორმა, რომელიც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვას, მართვას, განხორციელებასა და მონიტორინგს. აღნიშნული პლატფორმა აერთიანებს სასწავლო პროგრამებს, შეფასების ინსტრუმენტებს, უკუკავშირის არხებსა და კომუნიკაციის მექანიზმებს, სისტემა უზრუნველყოფს უკუკავშირის სისწრაფეს მასწავლებელს, ადმინისტრაციასა და სტუდენტს შორის, კონფიდენციალობის დაცვის მაღალ ხარისხსა და შეფასების მტკიცებულებათა სისტემატიზაციას, რაც ექსპერტებმა მიიჩნიეს საუკეთესო პრაქტიკად
- აკადემიამ დააფუძნა სასწავლო საწარმო, რომლის ფარგლებშიც „ვებტექნოლოგიების“ /front and დეველოპმენტის პროგრამის პროფესიული სტუდენტები დამოუკიდებლად ასრულებენ სხვადასხვა კომპანიის მიერ დაკვეთილ პროექტებს. საწარმოში გაწევრიანებულმა პროფესიულმა სტუდენტებმა ორ საჯარო სკოლას შეუქმნეს ვებგვერდი. აღნიშნული იყო პირველი პრეცენდენტი სისტემაში და ამისათვის, აკადემიას მიღებული აქვს მადლობის წერილები განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და პროფესიული უნარების სააგენტოსაგან.
- BTA თანამშრომლობს 50-ზე მეტ პარტნიორ ორგანიზაციასთან, რაც უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკულ გამოცდილებასა და შემდგომ დასაქმებას.

მისია

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის მისიაა მრავალპროფილური საგანმანათლებლო საქმიანობა, მომხმარებლებისათვის ინოვაციური მიდგომებით მაღალი ხარისხის სასწავლო-სამუშაო პირობების შეთავაზება. აკადემიის მისწრაფებაა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფა, ადამიანური კაპიტალის უწყვეტი განვითარება, რაც განსაზღვრავს მის როლს ეროვნულ და საერთაშორისო სივრცეში.

ხედვა

2029 წლისთვის აკადემია აღიარებულ იქნას ხარისხთან ასოცირებულ პროფესიული განათლების რეგიონულ ჰაბად, რაც განპირობებული იქნება დაწესებულების წარმატებაზე, პროფესიონალიზმსა და განვითარებაზე ორიენტირებული ძლიერი გუნდითა და მრავალფეროვანი პარტნიორული ქსელით.

ღირებულებები

- განათლების ხელმისაწვდომობა;
- განვითარებისკენ სწრაფვა;
- სამართლიანობა;
- პიროვნებაზე ორიენტირებულობა;
- პროფესიონალიზმი და რეპუტაციაზე ზრუნვა

SWOT - ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
◆ ეფექტური მენეჯმენტი და საერთაშორისო ხარისხის სისტემა – აკადემიას აქვს დანერგილი ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტე (ISO 9001:2015;), რაც უზრუნველყოფს პროცესების ეფექტურობასა და უწყვეტ გაუმჯობესებას. ◆ თანამედროვე ინფრასტრუქტურა – სასწავლო პროცესისთვის ხელმისაწვდომია საკუთარი, ტექნიკურად აღჭურვილი შენობები სხვადასხვა ლოკაციაზე, რაც ქმნის კომფორტულ და ეფექტურ სასწავლო გარემოს. ◆ მრავალწლიანი გამოცდილება და პროფესიონალი გუნდი – აკადემიას აქვს მდიდარი გამოცდილება განათლების სფეროში, ხოლო მეგობრული და პროფესიონალი პერსონალი მუდმივად ზრუნავს სტუდენტებისა და თანამშრომლების განვითარებაზე. ◆ მრავალფეროვანი და კონკურენტუნარიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები – BTA სთავაზობს სტუდენტებს აქტუალურ და მოთხოვნად პროგრამებს, რაც ზრდის მათი დასაქმების პერსპექტივას. ◆ პროფესიულ სტუდენტებზე/მსმენელებზე ორიენტირებული მართვა –რექტორი და ადმინისტრაცია აქტიურად ამყარებს კომუნიკაციას პროფესიულ სტუდენტებთან/მსმენელებთან, რაც ხელს უწყობს მათ საჭიროებებზე მორგებულ მართვის პროცესს. ◆ სწავლების და შეფასების თანამედროვე მეთოდები – დანერგილია სწავლების და შეფასების ელექტრონული სისტემა, რაც სწავლების პროცესს უფრო მოქნილს და ეფექტურს ხდის. ◆ აქტიური მონაწილეობა სახელმწიფო და საერთაშორისო პროექტებში – აკადემია მუდმივად მონაწილეობს სახელმწიფო პროექტებსა და ტენდერებში, ასევე აქტიურად თანამშრომლობს სახელმწიფო და კერძო ადგილობრივ და საერთაშორისო საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან,არასამთავრობო ორგანიზაციებთან,მუნიციპალიტეტთან და სხვა ◆ სტუდენტური ცხოვრების მრავალფეროვნება და მხარდაჭერა – აკადემია უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის მრავალფეროვან აქტივობებს, საინტერესო სტუდენტურ ცხოვრებას, მაღალი ხარისხის სერვისებსა და მოქნილ ფინანსურ მხარდაჭერას. ◆ ინვესტიციები ინფრასტრუქტურაში და ბრენდის განვითარებაში – მუდმივად	◆ ადამიანური რესურსების სიმცირე – აკადემიას აკლია საკმარისი კვალიფიციური კადრები, რაც შეიძლება ზღუდავდეს პროგრამების ეფექტურ განხორციელებასა და განვითარების შესაძლებლობებს. ◆ პროფესიული სტუდენტების დაბალი მოტივაცია – სტუდენტთა ნაწილისთვის სწავლისადმი ინტერესისა და ჩართულობის ნაკლებობა ხელს უშლის სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვას. ◆ შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და ახალი კადრების მომზადებას შორის დისბალანსი – ახალი თანამშრომლების შერჩევის პროცესში არსებობს ხარისხობრივი და რაოდენობრივი უთანხმოება, რაც ართულებს საჭირო პროფესიონალების დროულად მოძიებას ◆ციფრული პლატფორმების გაუმჯობესების საჭიროება: მიუხედავად არსებული ინფრასტრუქტურისა, შესაძლებელია ციფრული სწავლების პლატფორმების გაუმჯობესება, რათა სტუდენტებმა მიიღონ უფრო მოქნილი და თანამედროვე სასწავლო გამოცდილება. ◆ საერთაშორისო ცნობადობა: აკადემიას შესაძლოა სჭირდებოდეს მეტი ძალისხმევა საერთაშორისო დონეზე ცნობადობის ასამაღლებლად და უცხოელი სტუდენტების მოსაზიდად.

იზრდება ინფრასტრუქტურულ პროექტებში ჩადებული ინვესტიციები, რაც უზრუნველყოფს თანამედროვე სასწავლო გარემოსა და ბრენდის გაძლიერებას ◆ სტუდენტებისთვის მრავალფეროვანი აქტივობები და საინტერესო სტუდენტური ცხოვრება – აკადემია უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტებსა და მსმენელებს სხვადასხვა საგანმანათლებლო, კულტურულ და სოციალური აქტივობებით, რაც ხელს უწყობს პიროვნულ განვითარებასა და ჩართულობას. ◆ კომფორტული და დასვენებისთვის ხელსაყრელი გარემო – სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ რეკრეაციული ზონებით, რაც უზრუნველყოფს სასიამოვნო და ჯანსაღ გარემოს სასწავლო პროცესის პარალელურად.	
შესაძლებლობები	საფრთხეები
◆ ინფრასტრუქტურის განვითარება: თანამედროვე სასწავლო გარემოს შექმნა და არსებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ხელს შეუწყობს სტუდენტებისა და პერსონალის კომფორტს, რაც დადებითად აისახება სასწავლო პროცესზე. ◆ საზოგადოებასთან ურთიერთობის გაძლიერება: საზოგადოებასთან აქტიური კომუნიკაცია და მჭიდრო კავშირების დამყარება გაზრდის აკადემიის ცნობადობას და რეპუტაციას, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტთა მოზიდვას. ◆ სტუდენტთა რაოდენობის ზრდა: მრავალფეროვანი და მოთხოვნადი საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზება, ასევე მოქნილი ფინანსური პირობები, ხელს შეუწყობს სტუდენტთა რაოდენობის ზრდას. ◆ ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა: შრომის ბაზრის მოთხოვნებზე მორგებული ახალი პროგრამების შექმნა და დანერგვა გაზრდის აკადემიის კონკურენტუნარიანობას და სტუდენტთა ინტერესს. ◆ ახალ პროექტებსა და ტენდერებში მონაწილეობა: ეროვნულ და საერთაშორისო პროექტებში ჩართვა და ტენდერებში მონაწილეობა უზრუნველყოფს დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვას და გამოცდილების გაღრმავებას. ◆ პერსონალის განვითარება და წახალისება: თანამშრომელთა პროფესიული განვითარების პროგრამებში ჩართვა და მათი მოტივაციის ამაღლება ხელს შეუწყობს აკადემიის საერთო წარმატებას. ◆ სახელმწიფო დაფინანსების პროგრამებში მონაწილეობა: სახელმწიფო დაფინანსების მოდელებში ჩართვა უზრუნველყოფს ფინანსურ	◆ ავტორიზებული პროფესიული პროგრამების გაუქმება – პროგრამების გაუქმება შესაძლოა უარყოფითად აისახოს სტუდენტთა რაოდენობასა და აკადემიის სტაბილურობაზე. ◆ სახელმწიფო რეფორმებისა და რეგულაციების ხშირი ცვლილება – პროფესიულ განათლებაში სახელმწიფო რეფორმების ხშირი ცვლილება იწვევს დამატებით ადმინისტრაციულ სამუშაოს და პროგრამების მუდმივ განახლებას, რაც აკადემიისთვის გამოწვევას წარმოადგენს. ◆ პროფესიული სტუდენტების გადინება – სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სექტორებში სტუდენტთა გადინება აკადემიის კონკურენტუნარიანობაზე უარყოფითად მოქმედებს. ◆ არაჯანსაღი კონკურენცია – არაკონკურენტუნარიანი და არასამართლიანი გარემო შეიძლება დაბრკოლებად იქცეს აკადემიის განვითარებისთვის. ◆ ახალგაზრდების დაბალი მოტივაცია სწავლისადმი – პროფესიული განათლების მიმართ საზოგადოების ინტერესისა და მოტივაციის ნაკლებობა აფერხებს სტუდენტთა აქტიურ ჩართულობას და განვითარებას.	

სტაბილურობას და სტუდენტებისთვის უფრო ხელმისაწვდომ განათლებას. ◆ პერსონალის რაოდენობის ზრდა: კვალიფიციური კადრების დამატება გააუმჯობესებს სასწავლო პროცესის ხარისხს და ეფექტურობას. ◆ დამატებითი ფინანსების მოზიდვა: ეროვნული და საერთაშორისო წყაროებიდან ფინანსების მოზიდვა საშუალებას მისცემს აკადემიას განახორციელოს სტრატეგიული პროექტები და ინიციატივები. ◆ საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება: საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა და მათი გამოცდილების გაზიარება გააუმჯობესებს აკადემიის საგანმანათლებლო პროცესებს და გახდის მას გლობალურად კონკურენტუნარიანს. ◆პარტნიორული ქსელის შექმნა: სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობა ხელს შეუწყობს საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას და საერთო პროექტების განხორციელებას. ◆ინოვაციური სასწავლო მეთოდების დანერგვა: თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინოვაციური სასწავლო მეთოდების გამოყენება გააუმჯობესებს სასწავლო პროცესის ხარისხს და სტუდენტთა ჩართულობას. ◆სტუდენტთა კარიერული განვითარების მხარდაჭერა: სტუდენტებისთვის კარიერული განვითარების სერვისების შეთავაზება და პარტნიორ კომპანიებთან სტაჟირების შესაძლებლობების შექმნა გაზრდის მათი დასაქმების შანსებს. ◆ საზოგადოებრივ პროექტებში ჩართვა: საზოგადოებისთვის სასარგებლო პროექტებში მონაწილეობა და სოციალური პასუხისმგებლობის აღება გააძლიერებს აკადემიის პოზიტიურ იმიჯს.	

PEST ანალიზი

ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის (BTA) PEST ანალიზი მოიცავს გარე ფაქტორების შეფასებას, რომლებიც გავლენას ახდენენ ორგანიზაციის საქმიანობაზე. ქვემოთ წარმოდგენილია პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და ტექნოლოგიურ ფაქტორებზე დაფუძნებული ანალიზი:

პოლიტიკური ფაქტორები:	ეკონომიკური ფაქტორები:
❖ განათლების პოლიტიკა და რეგულაციები: საქართველოს განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმები და რეგულაციები პირდაპირ გავლენას ახდენენ პროფესიული სასწავლებლების საქმიანობაზე. ეს მოითხოვს მუდმივ ადაპტაციას და შესაბამისობას ახალი სტანდარტებისა და მოთხოვნების მიმართ. ❖ სახელმწიფო დაფინანსება: სახელმწიფო პრიორიტეტები პროფესიული განათლების მიმართ და დაფინანსების მოდელები გავლენას ახდენს აკადემიის ფინანსურ მდგრადობაზე და შესაძლებლობებზე.	❖ ეკონომიკური ზრდა და დასაქმება: ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა და სამუშაო ბაზრის ტენდენციები განსაზღვრავენ პროფესიული განათლების მოთხოვნას. ეკონომიკური ზრდის პერიოდში იზრდება მოთხოვნა კვალიფიციურ კადრებზე, რაც ზრდის პროფესიული განათლების პოპულარობას.
ტექნოლოგიური ფაქტორები	**სოციალური ფაქტორები:**
❖ ტექნოლოგიური პროგრესი: თანამედროვე ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება მოითხოვს სასწავლებლებისგან შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და პროგრამების განახლებას, რათა სტუდენტებს მიეწოდოთ თანამედროვე ცოდნა და უნარები. ❖ სასწავლო პროცესის დიგიტალიზაცია: სწავლების და შეფასების ელექტრონული სისტემების დანერგვა აუმჯობესებს სასწავლო პროცესის ეფექტურობას და გამჭვირვალობას.	❖ პროფესიული განათლებისადმი დამოკიდებულება – საზოგადოებაში პროფესიული განათლების აღქმა გავლენას ახდენს სტუდენტთა ჩარიცხვასა და მათი მოტივაციის დონეზე. მიუხედავად იმისა, რომ პროფესიული განათლება აქტუალური ხდება, კვლავ არსებობს შეხედულება, რომ აკადემიური განათლება უფრო პრესტიჟულია. ❖ დემოგრაფიული ტენდენციები – მოსახლეობის რაოდენობრივი და სტრუქტურული ცვლილებები, განსაკუთრებით რეგიონებში, შეიძლება გავლენას ახდენდეს სტუდენტთა ნაკადზე. ახალგაზრდების მიგრაცია დედაქალაქსა და უცხოეთში შესაძლოა აკადემიის თვის გამოწვევად იქცეს. ❖ სამუშაო ბაზრის მოლოდინები – დამსაქმებელთა მოთხოვნები პროფესიული კადრების მიმართ განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მოერგოს აკადემია შრომის ბაზრის საჭიროებებს და უზრუნველყოს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი.

- ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის (BTA) სვოტისა და PEST ანალიზის შეჯამებისას ვხედავთ, რომ აკადემიას აქვს ძლიერი მენეჯმენტისა და ხარისხის უზრუნველყოფის საერთაშორისო სისტემა, თანამედროვე ინფრასტრუქტურა და მრავალფეროვანი საგანმანათლებლო პროგრამები. სხვადასხვა პროექტებში ჩართულობა და პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობა აკადემიას ანიჭებს კონკურენტულ უპირატესობას. ამასთან, სტუდენტებისთვის შეთავაზებული მოქნილი სწავლების პირობები და ინოვაციური მიდგომები ხელს უწყობს მათი მოტივაციის ამაღლებას.

- აკადემია გარკვეულ გამოწვევებსაც აწყდება. პროფესიული განათლების მიმართ ზოგადი საზოგადოებრივი დამოკიდებულება და სტუდენტთა სწავლის სუსტი მოტივაცია ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა. სახელმწიფოს მხრიდან რეგულაციებისა და რეფორმების ხშირი ცვლილებები აკადემას ახალ მოთხოვნებთან სწრაფ ადაპტაციას ავალდებულებს.

- შიდა და გარე ფაქტორების ანალიზი ცხადყოფს, რომ ტექნოლოგიური პროგრესი, სახელმწიფოს მზარდი ინტერესი პროფესიული განათლების მიმართ და საერთაშორისო პარტნიორობების გაფართოების შესაძლებლობები ხელს შეუწყობს აკადემიის განვითარებას. ამასთან, აკადემია შეიმუშავებს გრძელვადიანი სტრატეგიებს ფინანსური მდგრადობის უზრუნველსაყოფად, სამუშაო ბაზრის მოთხოვნებთან მეტი შესაბამისობისთვის და სტუდენტთა მოზიდვისა და შენარჩუნების გასაძლიერებლად. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, აკადემია აყალიბებს სტრატეგიულ გეგმას, რომელიც ორიენტირებულია ინსტიტუციური და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარებაზე, ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფაზე და საგანმანათლებლო პროცესების ინოვაციური მიდგომებით გაძლიერებაზე. ამ პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სტუდენტთა მოზიდვისა და მათი დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებასა და თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებას. აღნიშნული სტრატეგიის რეალიზებით აკადემია ისწრაფვის არსებული გამოწვევების დაძლევისა და წარმატებული პოზიციონირების შენარჩუნებისკენ.

7 წლიანი სტრატეგიული გეგმა
1.04.2022-1.04.2029

სტრატეგიული ამოცანა	მიზნის მიღწევის ინდიკატორი	პასუხისმგებელი	შესრულების დრო						
			1	2	3	4	5	6	7
სტრატეგიული მიზანი 1. ინსტიტუციური განვითარება									
1.საგანმანათლებლო მომსახურების განვითარება	• შრომის ბაზრის ანალიზის საფუძველზე გაფართოებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სპექტრი (დამატებულია ახალი პროგრამები);	01;02; 03							
	• ყოველწლიურად მინიმუმ ერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენილია განაცხადი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ და მიღებულია დადებითი გადაწყვეტილება;	01; 02; 03							
	• ჩამოყალიბებულია „ქართული სტუმარ-მასპინძლობის სკოლა“ და მოპოვებულია განხორციელების უფლება მინიმუმ 12 მოკლევადიან მომზადება/გადამზადების პროგრამაზე;	01; 03 პროექტის გუნდი							
	• საჩხერის ლოკაციაზე გახსნილია საგანმანათლებლო ჰაბი, განხორციელებულია ახალ შენობაში გადასვლა/ფართის ცვლილება;	01; 03							
	• შრომის ბაზრის ანალიზის საფუძველზე გაფართოებულია პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამების სპექტრი	01;02; 03;18							
2.ინფრასტრუქტურის და მატერიალურ-ტექნიკური, საგანმანათლებლო რესურსების განვითარება	• მინიმუმ 10%-ით განახლებულია სასწავლო და სამუშაო გარემო;	01; 03; 09							
	• ყოველწლიურად მინიმუმ 3%-ით გაზრდილი/განახლებული/გაციფრულებულია საბიბლიოთეკო რესურსები; • ყოველწლიურად შექმნილია მინიმუმ ერთი საგანმანათლებლო რესურსები ან/და აკადემიას მიღებული აქვს შექმნაში მონაწილეობა; • ყოველწლიურად გამოცემულია მინიმუმ 2 სამეცნიერო/საინფორმაციო ჟურნალი;	01; 02; 03; 18; 22							
	• მოწყობილია/განახლებულია სარეკრეაციო/სტუდენტური სივრცეები	01; 02; 03; 09							
	• დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები; შენარჩუნებულია ნულოვანი ინციდენტი; ჩატარებულია შესაბამისი ინსტრუქტაჟები; დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;	01; 07							
	• საჩხერის ლოკაციაზე აშენებულია, თანამედროვე სტანდარტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზით მოწყობილი შესაბამისი საგანმანათლებლო კამპუსი;	01;							

	• ქალაქ საჩხერეში ფუნქციონირებს საერთო საცხოვრებელი(კამპუსი)	01;							
	• დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	07; 08							
	• ჩატარებულია ინვენტარიზაცია	01;19							
	• გამოკითხულთა(სტუდენტები/მსმენელები და პერსონალი) არანაკლებ 80% ინფრასტრუქტურას, მატერიალურ-ტექნიკურ და საგანმანათლებლო რესურსებს დადებითად აფასებს ;	04							
3.პერსონალის განვითარება	• მინიმუმ თითო ახალი პერსონალის დამატება ადმინისტრაციულ რგოლში თბილისსა და საჩხერეში;	01;16							
	• თითოეულ პროგრამაზე მინიმუმ თითო ახალი დარგის განმახორციელებლის დამატება თბილისსა და საჩხერეში;	01;16							
	• პერსონალის კმაყოფილების დონე განისაზღვრება მინიმუმ 85 %;	01;16							
	• პერსონალის განვითარების გეგმით გათვალისწინებული აქტივობების 80% განხორციელებული;	01; 02; 03; 16							
	• განხორციელებულია პერსონალის მამოტივირებელი/წამახალისებელი ღონისძიებები;	01;16							
4.ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა	• პროფესიულ სტუდენტთა და მსმენელთა რაოდენობის მაქსიმალიზაცია;	01; 02; 03;							
	• ეროვნული და საერთაშორისო საგრანტო/პროექტებიდან მოზიდული დაფინანსების ზრდა (მინიმუმ 10%-იანი ზრდა 3 წელში)	01; 06; 21							
	• მინიმუმ 2 ახალ პროგრამაზე სახელმწიფო დაფინანსების მოპოვება	01; 02; 03;							
	• დამატებითი შემოსავლის გენერირება (ფასიანი ტრენინგები და სხვა)	01							
	• ფინანსური ანგარიშგების დროული და გამჭვირვალე წარმოება	01; 19							
	• ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისთვის გაწეული ინვესტიციების მოცულობის ზრდა (წელიწადში მინიმუმ 10%-იანი ზრდა)	01; 09							
5.საინფორმაციო რესურსების მართვის გაუმჯობესება	• საგანმანათლებლო/სამუშაო პროცესი უზრუნველყოფილია თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიებით,	01; 09; 10							
	• საქმისწაროება ხორციელდება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით;	01; 13							
	• ყოველწლიურად განახლებული კატალოგი;	01; 02; 03							
	• ვებ-გვერდი/სოციალური ქსელის გვერდი გონივრულ ვადებში ასახული ინფორმაციით;	01; 06; 20							

	• ელექტრონული მართვის სისტემაში(emis) ასახული კანონმდებლობით განსაზღვრული ინფორმაცია.	01; 02; 03; 14							
	• საინფორმაციო სისტემების ეფექტურობა (შიდა მართვის პლატფორმის საშუალებით ადმინისტრაციული პროცესების გაუმჯობესება)	02; 03; 10							
	• გამოკითხულთა(სტუდენტები/მსმენელები და პერსონალი) არანაკლებ 80% საინფორმაციო რესურსებს დადებითად აფასებს	04; 05							
	• კიბერუსაფრთხოების პოლიტიკის განვითარება,დაცულია ინფორმაციული უსაფრთხოება; (მონაცემთა დაცვისა და უსაფრთხოების სტანდარტების დაცვა)	10							
6.სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შემუშავება/დამტკიცება/ანგარიშგება	• განხორციელებული სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშგება;	01; 02;							
	• შემუშავებული ახალი ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტი.	01; 02							

სტრატეგიული ამოცანა	მიზნის მიღწევის ინდიკატორი	პასუხისმგებელი	შესრულების დრო						
			1	2	3	4	5	6	7
სტრატეგიული მიზანი 2. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება									
1.ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შიდა აუდიტი	• ხუთივე სტანდარტში განხორციელებულია თვითშეფასება; • ანალიზის დოკუმენტის შესაბამისად განხორციელებულია რეაგირებები; • საჭიროების შემთხვევაში სტანდარტების მოთხოვნების დაკმაყოფილება/სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შემუშავება; • ხარისხის შეფასების შედეგები გაცნობილია დაინტერესებული მხარეებისათვის; • საჭიროებისამებრ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში შეტანილია შესაბამისი ცვლილებები.	01;04;05							
	• ჩატარებულია სტუდენტთა/მსმენელთა კმაყოფილების/საჭიროებების კვლევა. • ჩატარებულია პროგრამის განმახორციელებელ პირთა კმაყოფილების/საჭიროებების კვლევა.	04;05							

	• ჩატარებულია ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების/საჭიროებების კვლევა. • ჩატარებულია კურსდამთავრებულთა კვლევა, წარმოდგენილია შესაბამისი ანგარიში; • გამოკითხულია თითოეული მიზან ჯგუფის მინიმუმ 60%; • მომზადებულია შესაბამისი ანგარიშები;								
	• ჩატარებულია შეფასების სისტემის ვერიფიკაცია, წარმოდგენილია ვერიფიკაციის დასკვნა, საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილია გაუმჯობესების რეკომენდაციები/გეგმა;	01;04;05							
2.ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის გარე აუდიტი	• ჩატარებულია გარე აუდიტი და წარმოდგენილია დასკვნა; • დადასტურებულია ISO 9001:2015 ან/და სხვა საერთაშორისო ხარისხის სტანდარტის შესაბამისობა (სერტიფიცირების შენარჩუნება)	01;04;05							
	• ავტორიზაციის /პროგრამის დამატების/ფართის ცვლილების/მონიტორინგის/ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ მიღებულია დადებითი გადაწყვეტილება;	01;04;05							
	• საჭიროებების გათვალისწინებით განახლებული დოკუმენტაცია;	01;04;05							

სტრატეგიული ამოცანა	მიზნის მიღწევის ინდიკატორი	პასუხისმგებელი	შესრულების დრო						
			1	2	3	4	5	6	7
სტრატეგიული მიზანი 3 . პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა უფლებების დაცვა და მხარდამჭერი ღონისძიებების განვითარება									
1.პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა უფლებების დაცვა;	• მინიმუმამდე დაყვანილი საჩივარი/პრეტენზია (პროფ. სტუდენტის/მსმენელის მხრიდან) ; • პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა კმაყოფილების დონის მაჩვენებელი განისაზღვრება არანაკლებ 85 %; • სასწავლო წლის/პროგრამის დასაწყისში ჩატარებულია პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა საკონსულტაციო გაცნობითი შეხვედრები; • ჩარიცხული სტუდენტების/მსმენელების გადინების მაჩვენებლების შემცირება;	01;02;03; 11							
	• პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ჩართულობით, ჩატარებულია მინიმუმ 2 ღონისძიება.	01;02;03; 11							
	• სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სასწავლო გეგმის შესაბამისად სტუდენტის/მსმენელის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით	01;02;03; 11							

2.სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება	• სასწავლო პროცესში გამოიყენება სწავლების და შეფასების თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები , მათ შორის დისტანციური სწავლება	01;02;03; 11							
	• გამოიყენება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული პლატფორმა;	01;02;03; 11							
3. პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა და კურსდამთავრებულთა მხარდაჭერის სისტემის განვითარება	• სტუდენტთა/მსმენელთა/კურსდამთავრებულთა დასაქმების უზრუნველყოფისათვის აკადემიის ელექტრონულ პლატფორმაზე განთავსებულია სხვადასხვა პროფილის ვაკანსიები;	01;02;03; 11							
	• მინიმუმ 1 დასაქმების ფორუმში მონაწილეობა ან/და დაგეგმვა-განხორციელება აკადემიის სივრცეში;	01;02;03; 11							
	• დამატებულია მოთხოვნადი მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამები	01;02;03; 11							
	• დაფინანსებულია მინიმუმ 1 სტუდენტური ინიციატივა/პროექტი;	01							
	• ყოველწლიურად პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა და კურსდამთავრებულთა მხარდაჭერის მიზნით ჩატარებულია მინიმუმ 5 ექსტრაკურიკულარული აქტივობა.	01;02;03; 11							
	• გამოკითხულ კურსდამთავრებულთა კმაყოფილების და დასაქმების მაჩვენებელი შეადგენს მინიმუმ 80%;	01; 04; 05							

სტრატეგიული ამოცანა	მიზნის მიღწევის ინდიკატორი	პასუხისმგებელი	შესრულების დრო						
			1	2	3	4	5	6	7
სტრატეგიული მიზანი 4. საზოგადოებასთან ურთიერთობის განვითარება									
ბრენდის ცნობადობის გაზრდა და პოზიტიური იმიჯის შექმნა	• ყოველწლიურად განხორციელებული მინიმუმ 1 ღია კარის დღე;	01;02.03.06							
	• უწყვეტად მინდინარეობს ვებ-გვერდის და სოციალური გვერდების განახლება, საზოგადოების ინფორმირება დაწესებულების წარმატებებისა და აქტივობების შესახებ	01; 06; 20							
	• ყოველწლიურად განხორციელებული მინიმუმ 1 საიმიჯო ღონისძიება.	01; 06; 20							
	• გაუმჯობესებულია ბრენდის პოზიტიური იმიჯი (მინიმუმ 90%-იანი დადებითი უკუკავშირი(ფიდბექი) აკადემიის მიმართ)	01;06; 20							
	• განხორციელებულია სამიზნე აუდიტორიისთვის აქტუალური და მიმზიდველი საინფორმაციო კამპანიები	01;06; 20							

2.თანამშრომლობა საჯარო და კერძო სექტორებთან სასწავლო - სამეწარმეო და საზოგადოებრივ პროექტებში	• უზრუნველყოფილია სამუშაო ჯგუფებში კოლეჯის წარმომადგენელთა ჩართულობა (მინიმუმ 3 თანამშრომლობის პროექტი საჯარო და კერძო სექტორებთან)	01;02;03							
	• ადგილობრივი პარტნიორი ორგანიზაციების რაოდენობის ზრდა (მინიმუმ 15 ახალი პარტნიორი 3 წლის განმავლობაში)	01;02;08;							
	• დამსაქმებლებთან აქტიური თანამშრომლობის მაჩვენებელი (მინიმუმ 80%-ით კმაყოფილი დამსაქმებლები და სტუდენტებისთვის შეთავაზებული პრაქტიკების რაოდენობის ზრდა)	01;02;08							
	• ფუქნციონირებს მინიმუმ ერთი მიმართულების დარგობრივი სასწავლო-საწარმო; ყოველწლიურად სასწავლო-საწარმოში ჩართულია მინიმუმ 3 პროფესიული სტუდენტი/კურსდამთავრებული;	01; 22							
3.ინტერნაციონალიზაციის პროცესის ხელშეწყობა	• საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაციების რაოდენობის ზრდა (მინიმუმ 2 ახალი პარტნიორი 3 წლის განმავლობაში)	01;06; 21							
	• ყოველწლიურად საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარების მონაწილეობა მიღებულია მინიმუმ 1 კონფერენციაში/პროექტებში ;	01;06; 21							
	• მინიმუმ ერთი უცხოენოვანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაცია.	01;02;03; 21							

პასუხისმგებელი პირების ჯრაფაში მითითებული კოდების განმარტება:

პოზიციის დასახელება	კოდი
რექტორი	01
რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში	02
რექტორის მოადგილე (საჩხერის განყოფილება)	03
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	04
ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი	05
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი	06
შრომის უსაფრთხოების სამსახურის უფროსი	07
შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი	08
მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	09
კომპიუტერული უზრუნველყოფის სპეციალისტი	10
სასწავლო პროცესის მენეჯერი	11
სასწავლო პროცესის სპეციალისტი	12

საქმისწარმოების მენეჯერი	13
რეესტრის წარმოების მენეჯერი	14
სამართლებრივი უზრუნველყოფის მენეჯერი	15
ადამიანური რესურსების მენეჯერი	16
სასერთიფიკატო პროგრამების კოორდინატორი	17
ბიბლიოთეკარი	18
ფინანსური მენეჯერი	19
სოციალური მედიის სპეციალისტი	20
საერთაშორისო ურთიერთიერთობის მენეჯერი	21
პროგრამის განმახორიელებელი პერსონალი	22
დაცვის სპეციალისტი	23
დასუფთავების სპეციალისტი	24